საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თანდილაანთკარი

თანდილაანთკარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. არყალის [მთიულეთის (თეთრი) არაგვის მარჯვ. შენაკადი] ნაპირას. ზ. დ. 1020 მ, დუშეთიდან 30 კმ. 90 მცხ. (2002). თ-ში დაიბადა შ. არაგვისპირელი. თანდიწყარო, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თერეგვანის თემში, მდ. თანდიწყაროს (შუა ფრონის შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 900 მ, თიღვიდან 8 კმ. 76 მცხ. (1989).